აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №8

17/09/2020 წელი **ქ. ბათუმი**
12[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, სოფიო კახაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, კობა გაბაიძე, კახაბერ ჯაიანი, ირაკლი გვარამია, რამაზ ფირცხალაიშვილი და დავით ქარცივაძე.

არ ესწრებოდა: დავით ჯინჯოლავა.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში 2020 წლის 31 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლები უსკოში.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ;

2. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენის შესახებ;

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

5. განკარგულება
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

6. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ;

2. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო სარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

5. განკარგულება
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

1. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, უსკო დადგენილებით განსაზღვრავს საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის მინიჭების დამატებით წესს. ზ/აღნიშნულიდან გამომდირე ვინაიდან, 2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის და უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ერთდროულად იმართება ამომრჩევლის მიერ ნების გამოვლენის, საარჩევნო სუბიექტებისთვის წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების, კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შეჯამების ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილებით განისაზღვროს რიგითი ნომრის მინიჭების წესი. საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის მიენიჭა რიგითი ნომერი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში მიენიჭება იგივე რიგითი ნომერი, ხოლო იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში, რიგითი ნომრის მინიჭების მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიაში გაიმართება წილისყრა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არსებული მდგომარეობით უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის რიგითი ნომერი მიენიჭება მხოლოდ ერთ საარჩევნო სუბიექტს „საქართველოს ხალხთა ერთობა - გაერთიანებული, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის“ (სახე+), ვინაიდან უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით უსკოს თავმჯდომარის

მიერ რეგისტრირებული სხვა საარჩევნო სუბიექტები ასევე რეგისტრირებული არიან საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“, დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია დადგენილება

ვინაიდან 2020 წლის 31 ოქტომბერს ერთდროულად გაიმართება საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები, აუცილებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილებით განისაზღვროს რიგითი ნომრის მინიჭების წესი და ვადები.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1.

საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის მიენიჭა რიგითი ნომერი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში მიენიჭება იგივე რიგითი ნომერი.

მუხლი 2.

იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში, რიგითი ნომრების მინიჭების მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიაში იმართება წილისყრა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 38^1 მუხლით დადგენილი წესით, თუ ამ დადგენილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 3.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული საარჩევნო ბლოკი, რომლის შემადგენლობა განსხვავდება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკის შემადგენლობისაგან, მონაწილეობს წილისყრაში ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული წესით. გარდა იმ შემთხვევისა თუ საარჩევნო ბლოკი შექმნეს პარტიებმა, რომელთაგანაც ერთს მაინც ეკუთვნის რიგითი ნომერი საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 38^1 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნულ ბლოკს უფლება აქვს, მოითხოვოს რიგითი ნომრის წილისყრით მინიჭება ან საარჩევნო ბლოკის წესდებაში მიუთითოს, ასეთი უფლების მქონე რომელი პარტიის რიგით ნომერს გამოიყენებს.

მუხლი 4.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს რიგით ნომერს წილისყრით ანიჭებს უმაღლესი საარჩევნო კომისია. წილისყრისას ნომრების რაოდენობა შეესაბამება წილისყრაში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობას. წილისყრაში არ მიიღებენ მონაწილეობას ის რიგითი ნომრები, რომლებიც მინიჭებულია საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის.

მუხლი 5.

რიგითი ნომრები იწყება, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის/საარჩევნო ბლოკებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის მინიჭებული უმაღლესი რიგითი ნომრის მომდევნო ზრდადი რიცხვიდან. თუ წილისწყრაში მონაწილეობს მხოლოდ ერთი საარჩევნო სუბიექტი წილისყრა აღარ იმართება და რიგითი ნომერი ენიჭება ავტომატურად.

მუხლი 6.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატებისათვის რიგითი ნომრის მინიჭება ხდება, 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის/საარჩევნო ბლოკებისათვის, საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის რიგითი ნომრების მინიჭების პროცედურების დასრულების შემდეგ კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა.

მუხლი 7.

საოლქო საარჩევნო კომისიაში რიგითი ნომრის მისანიჭებლად გასამართ წილისყრაში მონაწილე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატების რიგითი ნომრები იწყება 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის/საარჩევნო ბლოკებისათვის, შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის/საარჩევნო ბლოკებისათვის მინიჭებული უმაღლესი რიგითი ნომრის მომდევნო

ზრდადი რიცხვიდან. წილისყრაში მონაწილეობს იმდენი რიგითი ნომერი, რამდენი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატიც მონაწილეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში.

მუხლი 8.

საარჩევნო სუბიექტები, რომელიც საქართველოს პარლამენტის არჩევნებში გაერთიანებულნი არიან საარჩევნო ბლოკში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობენ დამოუკიდებლად ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული უფლებით სარგებლობს ასეთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პირველად დასახელებული პარტია.

მუხლი 9.

საარჩევნო სუბიექტები, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში გაერთიანებულნი არიან საარჩევნო ბლოკში და საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობენ დამოუკიდებლად, საარჩევნო ბლოკს მიენიჭება ის რიგითი ნომერი რა ნომერიც აქვს მინიჭებული საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პირველად დასახელებულ პარტიას საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში.

მუხლი 10.

საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრის მიზნით სათანადო პროცედურები ტარდება უმაღლესი საარჩევნო კომისიის შენობაში, საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30 დღისა.

მუხლი 11.

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 12.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ ამ დადგენილების პროექტით განისაზღვრება საარჩევნო პროცედურები თუ ვის აქვს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრების უფლება, ასევე კენჭისყრის დღეს ვის აქვს უბანზე შესვლის უფლება და სხვა პროცედურები რაც საარჩევნო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	11;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის დამტკიცებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციით გაუთვალისწინებელი გარკვეული სახის პროცედურების მოწესრიგების მიზნით უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის განისაზღვროს ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1.

1. საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ უსკოს წევრებს, უსკოს წარმომადგენელებს და უსკოს აპარატის თანამშრომლებს.

2. საოლქო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ელექტრონული ფორმით უსკოსთვის გადაცემას.

3. საოლქო საარჩევნო კომისია მოთხოვნის შემთხვევაში უსკოს აწვდის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ასლებს, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ასლებს.

4. საოლქო საარჩევნო კომისია უსკოს აწვდის ინფორმაციას საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებთან დაკავშირებით, აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციას.

მუხლი 2.

1. საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ უსკოს წევრებს, უსკოს წარმომადგენელებს და უსკოს აპარატის თანამშრომლებს.

2. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ უსკოს წევრებსა და უსკოს წარმომადგენლებს.

3. საუბნო საარჩევნო კომისიები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დახარისხებას, დათვლას, დალუქვასა და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემას ახდენს საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენებისაგან განცალკევებით საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საუბნო საარჩევნო კომისია, უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით შედგენილ კენჭისყრის შემაჯამებელ ოქმებს და ასევე შესწორების ოქმებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შედგენისთანავე დაუყოვნებლივ გადაუგზავნის უსკოს.

მუხლი 3.

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს გააცნო, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენის შესახებ“, განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეებს შორის უშუალო კონტაქის თავიდან არიდების მიზნით, ასევე უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში ჩართულ მხარეებს (საარჩევნო პერიოდში) მიეცეთ შესაძლებლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაცია წარადგინონ (PDF ფორმატში) ელექტრონული წესით, უსკოს ოფიციალური ელ-ფოსტის მეშვეობით მისამართზე: (info@sec.ge). გარდა რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის მიერ უსკოში წარსადგენი პარტიული სიებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენის შესახებ“, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეებს შორის უშუალო კონტაქტის თავიდან არიდების მიზნით.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში ჩართულ მხარეებს (საარჩევნო პერიოდში) მიეცეთ შესაძლებლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაცია წარადგინონ (PDF ფორმატში) ელექტრონული წესით, უსკოს ოფიციალური ელ-ფოსტის მეშვეობით მისამართზე: (info@sec.ge). გარდა რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის მიერ უსკოში წარსადგენი პარტიული სიებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა.

2. საარჩევნო დოკუმენტაციის ელექტრონული წესით წარმოდგენა განხორციელდეს ყოველდღიურად 10:00 საათიდან 18:00 საათამდე. დოკუმეტაცია, რომელიც ელექტრონულად წარმოდგენილი იქნება 18:00 საათის შემდეგ, წარმოდგენილად ჩაითვლება მომდევნო დღის 10:00 საათიდან.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს დედნიდან ელექტრონულ ფორმატში (სკანირება) გადაყვანილი, თუ ვერ ხდება წარმოდგენილი დოკუმენტის იდენტიფიცირება უსკოს შესაბამისი სამსახური უფლებამოსილია არ დაარეგისტრიროს ეს დოკუმენტი და წარმომდგენს მოსთხოვოს აღნიშნული დოკუმენტის მატერიალურად წარმოდგენა.

4. ელექტრონულად შემოსული საარჩევნო დოკუმენტაცია ამოიბეჭდოს და მისი რეგისტრაცია განხორციელდეს უსკოს საქმისწარმოების ელ-სისტემაში (eDocument-ის პროგრამაში). შემოსულ დოკუმენტს მის დამუშავებამდე ფურცლის მარჯვენა ქვედა კუთხეში დაესმება უსკოს შტამპი რომელშიც აღინიშნება სისტემის მიერ მინიჭებული ნომერი, რიცხვი, თვე და წელი.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“, განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების

სახეების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	11;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) საერთაშორისო დამკვირვებლის მოწმობა უსკოში;

ბ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა უსკოში;

გ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა ოლქში;

დ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა უბანში;

ე) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების სააკრედიტაციო ბარათი;

ვ) პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა ოლქში;

ზ) პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა უბანში;

თ) უსკოს წარმომადგენლის მოწმობა;

ი) უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მოწმობა;

კ) უმაღლესი საბჭოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის მოწმობა;

ლ) უმაღლესი საბჭოს წევრობის დროებითი მოწმობა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

(თან ერთვის)

5. განკარგულება

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო, „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით უსკო უფლებამოსილია საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ხელმძღვანელ პირებზე გასცეს შრომის ანაზღაურება, უსკოს მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯაიანმა და რამაზ ფირცხალაიშვილმა.

კახაბერ ჯაიანი მიესალმა უსკოს გადაწყვეტილებას, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე შრომის ანაზღაურების გაცემის შესახებ. თუმცა ის ვარაუდობს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობა იქნება მიკერძოებული და არ შეასრულებს საარჩევნო კანდონმდებლობის მოთხოვნებს.

რამაზ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ თუ საუბნო საარჩევნო კომისიის რომელიმე წევრი არ შეასრულებს საარჩევნო კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებას ზემდგომი საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მათ მიმართ გამოიყენოს საარჩევნო კანონმდებლობით

გათვალისწინებული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ზომა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებზე და კომისიის წევრებზე ყოველთვიურად გაიცეს თანამდებობრივი სარგო და გასაცემი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 11 სექტემბრის №129/2020 განკარგულებით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და ხელმძღვანელ პირებს არჩევნების დღემდე 30-ე დღიდან ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენამდე ეძლევათ შრომის ანაზღაურება არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან ამ განკარგულების

პირველი პუნქტით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად.

3. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტს.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის
ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**